სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №18-03-44

CPV 79952000 - ღონისძიების ორგანიზება

ქ. თბილისი 06 მარტი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბაიდარაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ლუმა დეველოპმენტ",** (მის: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი, ზემო პლატო, კორ. 43ბ, ბ3; ს/კ 406106155, საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა **GE76TB7660036050100001,** 599 630 209) შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ოთარი თედორაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, მიწოდების პირობები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაციის ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებით 30 კვ.მ პოდიუმის ორჯერ მოწყობა (შეფუთული რბილი იატაკით ,,კავარალინი" ზომით 5*6მ) და ჟურნალისტების პარტიკაბელებით მომსახურება ზომით 6.98კვ.მ (2.44*1.22მ და 2*2მ).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6,150.00 (ექვსი ათას ას ორმოცდაათი)** ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3 შესყიდვის საფუძველი - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N444 განკარგულება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 20 თებერვლის N535 განკარგულება ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდისთვის" სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე SMP180000478.

2.4 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **2018 წლის საბიუჯეტო** სახსრები.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

2.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 1(ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2018 წლის 30 აპრილისა.

2.7 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

3.2 შესმყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი ან/და ზეპირი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და

შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

4. მიღება - ჩაბარების წესი

4.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირი.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით მოსთხოვოს შემყიდველს ფაქტიურად შესრულებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

5.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამ ვადაში შემოსულია 4.3 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის წერილობოთი მოთხოვნა.

5.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების (მათ შორის ეტაპობრივი) დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ს.

6.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

6.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

6.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

6.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

8.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

8.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

8.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

9. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი	**შპს „ლუმა დეველოპმენტ“**
დირექტორი	დირექტორი
გიორგი ბაიდარაშვილი	**ოთარი თედორაძე**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს დირექტორი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში **შპს „ლუმა დეველოპმენტ"-ის (406106155)** მიმართ.

დირექტორი: **გიორგი ბაიდარაშვილი**

06.03.2018

N83-კ

06/03/2018

ა (ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის

დირექტორს ბატონ გიორგი ბაიდარაშვილს

ამავე ფონდის ადმინისტრაციული მმართველის ნათია დარჩიას

მოხსენებითი ბარათი

გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის მარტის ან აპირლის თვეში დაგეგმილია გახსნის ღონისძიება, რომელსაც მერიის, ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრებიან.

ღონისძიების მოსაწყობად, რომლის გამართვა იგეგმება გუდიაშვილის მოედანზე ღია ცის ქვეშ, საჭიროა:

- პოდიუმის 2-ჯერ აწყობა ზომით 5/6-ზე შეფუთული ნაცრისფერი რბილი იატაკით ე.წ (კავრალინი) სიმაღლე 40სმ
- 2 ცალი პარტიკაბელი ზომები (1.22/2.44 -ზე და 2/2-ზე)
- ღონისძიების გაფორმება + დიზაინი 4 ხარაჩოების ტიპის სტენდით (მრავალჯერადი მოხმარების) -ზომები (4,5 მ / 3მ -ზე), სადაც განთავსდება ნაბეჭდი სახით შენობის რენდერები
- საპრეზენტაციო ეკრანი ზომით 5/3-ზე
- სატელევიზიო განათება 6კვ
- გენერატორი 50 კვ (ჩუმი)
- გახმოვანება 15კვ
- 2 რადიო მიკროფონი
- 2 ყურის მიკროფონი
- 2 პეტლიჩკა
- დინამიკი ტელევიზიებისთვის

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა.

პატივისცემით,

Nino Rostiashvili

From: Nino Rostiashvili <n.rostiashvili@tdf.ge>
Sent: Monday, February 26, 2018 5:26 PM
To: 'gena.genadi@inbox.ru'; 'giorgi@sanikidze.info'; 'sbitadze@hotmail.com'; 'vanochelidze@gmail.com'; 'alfastudio70@gmail.com'; 'suladzeroma@gmail.com'; 'otoluka1@gmail.com'
Subject: ფასთა კვლევა ღონისძიებისთვის

თბილისის განვითარების ფონდი პროექტ "ახალი ტფილისის" ფარგლებში იწყებს ლადო გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციას.

დაგეგმილი ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარზე ვაკეთებთ ფასთა კვლევას.
გიგზავნით ჩამონათვალს და გთხოვთ მომაწოდოთ აღნიშნული მომსახურების ღირებულება

პოდიუმი ზომით 5/6-ზე შეფუთული ნაცრისფერი რბილი იატაკით ე.წ (კავრალინი); სიმაღლე 40სმ
2 ცალი პარტიკაბელი ზომები (1.22/2.44 -ზე და 2/2-ზე)

ღონისძიების გაფორმება + დიზაინი 4 ხარაჩოების ტიპის სტენდით (მრავალჯერადი მოხმარების) -ზომები (4,5 მ / 3მ -ზე), სადაც განთავსდება ნაბეჭდი სახით შენობის რენდერები.

საპრეზენტაციო ეკრანი ზომით 5/3-ზე
სატელევიზიო განათება 6კვ
გენერატორი 50 კვ (ჩუმი)

გახმოვანება 15კვ
2 რადიო მიკროფონი
2 ყურის მიკროფონი
2 პეტლიჩკა
დინამიკი ტელევიზიებისთვის.

პატივისცემით/ Best regards,

ნინო როსტიაშვილი/Nino Rostiashvili

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
Marketing and Public Relations Department

Nino Rostiashvili

From: Nino Rostiashvili <n.rostiashvili@tdf.ge>
Sent: Tuesday, March 06, 2018 4:15 PM
To: 'gena.genadi@inbox.ru'; 'giorgi@sanikidze.info'; 'sbitadze@hotmail.com'; otoluka1@gmail.com
Subject: ფასთა კვლევა ღონისძიებისთვის

გამარჯობა,

თბილისის განვითარების ფონდი პროექტ "ახალი ტფილისის" ფარგლებში იწყებს ლადო გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციას.

დაგეგმილი ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარზე ვაკეთებთ ფასთა კვლევას.
გიგზავნით ჩამონათვალს და გთხოვთ მომაწოდოთ აღნიშნული მომსახურების ღირებულება

- პოდიუმის 2-ჯერ აწყობა ზომით 5/6-ზე შეფუთული ნაცრისფერი რბილი იატაკით ე.წ (კავრალინი) სიმაღლე 40სმ
- 2 ცალი პარტიკაბელი ზომები (1.22/2.44 -ზე და 2/2-ზე)

პატივისცემით/ Best regards,

ნინო როსტიაშვილი/Nino Rostiashvili

კვლევების და ანალიზის სამსახური

TBILISI DEVELOPMENT FUND

თბილისის განვითარების ფონდი/ Tbilisi Development Fund
0108 თბილისი, საქართველო / 0108 Tbilisi, Georgia
ძმები ზუბალაშვილების ქ.N48 / Address: 48, Dzmebi Zubalashvilebi Str.
Tel: +995 (32) 2 47 00 14
Mobile: (+995) 593 781 871
Email: n.rostiashvili@tdf.ge
Web: http://www.tdf.ge

პატივისცემით/ Best regards,

ნინო როსტიაშვილი/Nino Rostiashvili

კვლევების და ანალიზის სამსახური

თბილისის განვითარების ფონდი/ Tbilisi Development Fund

0108 თბილისი, საქართველო / 0108 Tbilisi, Georgia

ძმები ზუბალაშვილების ქ.N48 / Address: 48, Dzmebi Zubalashvilebi Str.

Tel: +995 (32) 2 47 00 14

Mobile: (+995) 593 781 871

Email: n.rostiashvili@tdf.ge

Web: http://www.tdf.ge

Nino Rostiashvili

From: otoluka1 <otoluka1@gmail.com>
Sent: Tuesday, March 06, 2018 4:19 PM
To: Nino Rostiashvili
Subject: Re: ფასთა კვლევა ღონისძიებისთვის

ამ სამუშაოების ჯამი იქნება 6150 ლარი დღგს ჩათვლით

გაგზავნილია ჩემი Samsung Galaxy სმარტფონიდან.

-------- თავდაპირველი შეტყობინება --------
საიდან: Nino Rostiashvili <n.rostiashvili@tdf.ge>
თარიღი: 06.03.18 16:14 (GMT+04:00)
ვის: gena.genadi@inbox.ru, giorgi@sanikidze.info, sbitadze@hotmail.com, otoluka1@gmail.com
თემა: ფასთა კვლევა ღონისძიებისთვის

გამარჯობა,

თბილისის განვითარების ფონდი პროექტ "ახალი ტფილისის" ფარგლებში იწყებს ლადო გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციას.

დაგეგმილი ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარზე ვაკეთებთ ფასთა კვლევას.

გიგზავნით ჩამონათვალს და გთხოვთ მომაწოდოთ აღნიშნული მომსახურების ღირებულება

- პოდიუმის 2-ჯერ აწყობა ზომით 5/6-ზე შეფუთული ნაცრისფერი რბილი იატაკით ე.წ (კავრალინი) სიმაღლე 40სმ
- 2 ცალი პარტიკაბელი ზომები (1.22/2.44 -ზე და 2/2-ზე)